



# საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 292 2021 წლის 31 აგვისტო ქ. თბილისი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს  
მოწვეულ წევრთა დანიშვნის შესახებ

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის 1<sup>1</sup> და 1<sup>2</sup> პუნქტების საფუძველზე, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მოწვეულ წევრებად დაინიშნონ:

ივანე აბიათარი – სსიპ – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის მედიცინისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, დეპარტამენტის/სკოლის – „მედიცინის სკოლის“ ხელმძღვანელი, ამავე უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;

ზაზა ავალიანი – შპს „ევროპის უნივერსიტეტის“ მედიცინის კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, ამავე უნივერსიტეტის აფილირებული პროფესორი;

მაია ბიჭვინაშვილი – სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ამავე უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის შინაგან დაავადებათა პროპედევტიკისა და ლაბორატორიული დიაგნოსტიკის კათედრის ასოცირებული პროფესორი;

მარინე გელანტია – შპს „აკადემიკოს ო. ლუდუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრის“ გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი;

თამარა ვალიშვილი – სსიპ – აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის სამკურნალო მედიცინის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ამავე უნივერსიტეტის პროფესორი;

მაია ზალდასტანიშვილი – სს „ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრის“ ინფექციური საავადმყოფოს მიმღები განყოფილების უფროსი, ექიმი ინფექციონისტი;

ხათუნა ზალდასტანიშვილი – სსიპ – სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს პროფესიული რეგულირების სამმართველოს უფროსი;

ხათუნა თოდაძე – სსიპ – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი, ნარკოლოგიის დეპარტამენტის პროფესორი;

დავით კობეშავიძე – შპს „იმედის კლინიკის“ დირექტორი;

ბიძინა კულუმბეგოვი – ალერგიისა და იმუნოლოგიის ცენტრის კლინიკური განვითარების განყოფილების ხელმძღვანელი, შპს „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის“ მედიცინის ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორი;

ნინო ოკრიბელაშვილი – სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე, მედიცინის ფაკულტეტის ფსიქიატრიისა და სამედიცინო ფსიქოლოგიის კათედრის პროფესორი;

ლევან რატანი – სსიპ – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის გენერალური დირექტორი, ამავე უნივერსიტეტის ანესთეზია-რეანიმაციის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, სრული პროფესორი;

ნათია სხვიტარიძე – სსიპ – ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის მრჩეველი გლობალური ჯანმრთელობის საკითხებში;

ნინო შარიქაძე – შპს „ონკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის“ კლინიკური ონკოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელი;

გიორგი ჩილინგარაშვილი – სსიპ – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრანტი;

ივანე ჩხაიძე – კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციებისა (გაიდლაინები) და დაავადებათა მართვის სახელმწიფო სტანდარტების (პროტოკოლები) შემუშავების, შეფასებისა და დანერგვის ეროვნული საბჭოს წევრი, მ. იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფოს სამედიცინო დირექტორი, სსიპ – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პედიატრიის დეპარტამენტის პროფესორი;

შორენა წიკლაური – შპს „ევროპის უნივერსიტეტის“ ასისტენტ-პროფესორი, ამავე უნივერსიტეტის სიმულაციური ცენტრის ხელმძღვანელი;

გივი ჯავაშვილი – საქართველოს ბიოეთიკის ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე, სსიპ – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საოჯახო მედიცინის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი.

ირაკლი ღარიბაშვილი

